ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 549

“22” ნოემბერი 2024 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ბარბარე ბაირამაშვილის ქ. №31-ში მდებარე №1 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: №01.11.17.027.014.01.01.001), ქალაქ თბილისში, ზურაბ პატარიძის ქ. №3-ში მდებარე №29 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: №01.17.07.024.079.01.01.029) და ქალაქ თბილისში, დემეტრე თავდადებულის ქ. №19-ში მდებარე №73 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: №01.10.06.002.041.01.01.073) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 118[1] მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში, ბარბარე ბაირამაშვილის ქ. №31-ში მდებარე №1 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: №01.11.17.027.014.01.01.001), ქალაქ თბილისში, ზურაბ პატარიძის ქ. №3-ში მდებარე №29 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: №01.17.07.024.079.01.01.029) და ქალაქ თბილისში, დემეტრე თავდადებულის ქ. №19-ში მდებარე №73 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: №01.10.06.002.041.01.01.073) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 9 ოქტომბრის №24.1689.1915 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ბარბარე ბაირამაშვილის ქ. №31-ში, მე-3 სართულზე მდებარე 86.40 კვ.მ. ფართობის №1 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: №01.11.17.027.014.01.01.001), ქალაქ თბილისში, ზურაბ პატარიძის ქ. №3-ში მე-5 სართულზე მდებარე 58.90 კვ.მ. ფართობის №29 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: №01.17.07.024.079.01.01.029) და ქალაქ თბილისში, დემეტრე თავდადებულის ქ. №19-ში მე-10 სართულზე მდებარე 58.70 კვ.მ. ფართობის №73 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: №01.10.06.002.041.01.01.073) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით ტიერი ბერიშვილისთვის (პ/ნ. 01101135068) საკუთრებაში გადაცემაზე, ერთ ერთეულ უძრავ ქონებაზე სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე . გიორგი ტყემალაძე